აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2019-დან - 01.09.2020-მდე)

2020 წელი

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კომიტეტის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მუშაობა მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით. თითოეული საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა კომიტეტის სხდომებზე. კომიტეტის დასკვნები და სხვა სახის გადაწყვეტილებების პროექტები ეგზავნებოდა უმაღლესი საბჭოს შესაბამის სუბიექტებს.

კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა, როგორც წამყვანმა იმუშავა 14 სამართლებრივი აქტის პროექტზე, მათ შორის:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტის (კანონი, რეგლამენტი) პროექტი 10;
- საქართველოს კანონის პროექტი 3;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი 1.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ ჩატარებულია 21 სხდომა, რომელზეც განხილულია 37 საკითხი. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ მომზადებულია 33 დასკვნა.

კომიტეტი, როგორც წამყვანი მუშაობდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2017 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, საქართველო მმართველობის ფორმის მიხედვით გახდა სრულად საპარლამენტო რესპუბლიკა. აღნიშნული რეფორმის პარალელურად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს ახალი კონსტიტუციური კანონი, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის სრული გადასინჯვის საფუძველი შექმნა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული როლი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში განმტკიცებული იქნა უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით, რომლითაც მისი, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს როლი და ფუნქციათა არსენალი საკმაოდ მრავალი კომპონენტით იქნა გაზრდილი.

უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული იქნა მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად:

- მინისტრის საათი;
- ინტერპელაცია;
- უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა;
- კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების სავალდებულო დასწრება;
- დროებითი კომისია;
- აჭარის ა.რ. მთავრობის საქმიანობის ანგარიშის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მოსმენა;
- ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენდა რეგიონის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ადგილმდებარეობის ცვლილება და მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრში - ქალაქ ბათუმში დაბრუნება.

ქალაქ ბათუმში უმაღლესი საბჭოს გადასვლას საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საზოგადოების მხრიდანაც, რაც დაადასტურა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სოციალური ქსელით ჩატარებულმა გამოკითხვამ, სადაც გამოკითხვაში მონაწილე მოსახლეობის 74 პროცენტმა მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბათუმში გადასვლას.

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში შევიდა ცვლილება და უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფლად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი, ხოლო იურიდიულ მისამართად - ლუკა ასათიანის ქუჩა №37.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ეთიკის ნორმების“ მიღების მიზეზს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის შესაბამისადაც, უმაღლეს საბჭოს 2020 წლის 1 იანვრამდე დადგენილებით უნდა განესაზღვრა უმაღლესი საბჭოს წევრის ქცევის ეთიკური სტანდარტები - ეთიკის ნორმები.

უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია და ემსახურება უმაღლესი საბჭოს წევრების საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

ეთიკის ნორმების მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, დაადგინოს უმაღლესი საბჭოს წევრების მაღალი ეთიკური სტანდარტები, ხელი შეუწყოს უმაღლესი საბჭოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მათი მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებას. ეთიკის ნორმები ასევე ხელს უწყობს უმაღლესი საბჭოს წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვას.

ეთიკის ნორმები არეგულირებს უმაღლესი საბჭოს წევრის ქცევას მისი სტატუსიდან გამომდინარე და განსაზღვრავს წესებს, რომლებიც მან უნდა გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში და ასევე კოლეგებთან, თანამშრომლებთან, მედიასთან, სხვა ინსტიტუტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას; ასევე განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, რომელთაც განიხილავს ეთიკის საბჭო ეთიკის ნორმების

სავარაუდო დარღვევის ფაქტების არსებობის შემთხვევაში თავისი ინიციატივით ან საჩივრის საფუძველზე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი. ამასთან აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ცვლილება განიცადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამაც, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების საკითხიც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და გერბის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის მიზეზს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის დადგენის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი მოთხოვნის შესრულება.

კანონი შედგება 4 თავისა და 17 მუხლისაგან.

I თავი მოიცავს ზოგად დებულებებს, რომელიც ადგენს კანონის რეგულირების სფეროს. კერძოდ, კანონპროექტის რეგულირების სფეროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების აღწერილობის, გამოყენების წესის დადგენა, ასევე მათი გამოყენების სფეროების და დაცვის წესის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილების განსაზღვრა.

II თავი ეთმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშას. აღნიშნულ თავში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოსახულება და ზომები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალის შენახვის ადგილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვა და გამოფენა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის წესი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების აკრძალვა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვა.

III თავი დათმობილი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს. მოცემულ თავში შესულია ისეთი საკითხები როგორიცაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახვის ფორმები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალის შენახვის ადგილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სფერო; აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების წესი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ერთდროულად გამოყენება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვა.

IV თავი დათმობილი აქვს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს. გარდამავალი დებულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ეტაპობრივად გატარება.

დასკვნითი დებულებების შესაბამისად, კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 20 ივლისის კანონი; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 17 ივნისის კანონი.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, კანონის მე-18 მუხლს, რომელშიც მოცემულია კანონპროექტის განმარტებითი ბარათის რეკვიზიტები, „ბავშვთა უფლებათა კოდექსიდან" გამომდინარე დაემატა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი ვალდებულია განმარტებით ბარათში სხვა მონაცემებთან ერთად, ასახოს კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. კანონში შეტანილი ცვლილებით ანალოგიური ვალდებულება გაუჩნდათ ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს (თანამდებობის პირებს) მათ მიერ მიღებულ/გამოცემულ ნორმატიული აქტების პროექტებზე.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილება მიზნად ისახავდა იმ აუცილებელი ცვლილების მიღებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით უმაღლესი საბჭოს მუშაობის დისტანციურად წარმართვას. უმაღლეს საბჭოს არ ქონდა შესაძლებლობა დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მოქმედებისა.

მიღებული ცვლილება საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს საქმიანობა წარიმართოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

ამავე ცვლილებით დადგინდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს უმაღლესი საბჭოს მიერ საგანგებო სესიის რეჟიმში მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმა.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მთავრობები,

სასამართლო, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლებები ნებაყოფლობით ახორციელებენ დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესებისთვის მიმართულ რეფორმებს .

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა OGP-ის. საქართველომ, როგორც OGP-ის წევრმა სახელმწიფომ, უპასუხა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივას საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით. 2015 წელს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული ინტერფრაქციული ჯგუფი, რასაც შემდეგში მოჰყვა საქართველოს პარლამენტის წევრებისგან ინტერფრაქციული პრინციპით დაკომპლექტებული „ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ შექმნა. 2015 წლიდან დღემდე დამტკიცებულია საქართველოს ღია პარლამენტის სამი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა, სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებს შორის სამოქმედო გეგმის გამორჩეული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავების ნიშნად, მოიპოვა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო (the OGP Govenrment Champions Award). გარდა საქართველოს პარლამენტისა, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში ჩართულია საქართველოს მთავრობა და ქალაქ თბილისის მერია. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მხრიდან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივის მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ საქართველო, 2016-2018 წლებში იყო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ჯერ თანათავმჯდომარე და, შემდეგ, თავმჯდომარე ქვეყანა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა შეუერთდეს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის საკანანომდებლო ორგანოს მუშაობის გაუმჯობესებას ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. რეგიონების მონაწილეობა „ღია მმართველობის პარტნიორობაში“ გავრცელებული პრაქტიკაა, და დღეისათვის, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი გვევლინება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრად.

რეგლამენტში აღნიშნული ცვლილების შეტანით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა „ღია მმართველობის საბჭო“, როგორც ღია მმართველობის პრინციპების ინსტიტუციონალური განხორციელების მექანიზმი. ღია მმართველობის საბჭო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ღიაობის გაძლიერებას, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა ჩართულობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ერთიანი სისტემის დანერგვას და განხორციელებას.

„ღია მმართველობის საბჭოს“ შექმნა მიზნად ისახავს ისეთი მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნას, რომელიც ჩართული იქნება და ხელს შეუწყობს უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს გაძლიერებას ინსტიტუციური ღიაობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ,ღია მმართველობის საბჭო გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2020 წლის 3 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი №109-უ.ს.გ.ს. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული კანონის მიღების მიზანი იყო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობის უზრუნველყოფა ბავშვის უფლებათა კოდექსთან. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის ამოქმედების თარიღიც განისაზღვრა ბავშვის უფლებათა კოდექსის სრულფასოვნად ამოქმედების თარიღის შესაბამისად - 2020 წლის 1 ივნისიდან.

ვინაიდან, ბავშვის უფლებათა კოდექსის სრულფასოვნად ამოქმედების თარიღად განსაზღვრული იქნა 2020 წლის 1 სექტემბრი, ამდენად, ზემოთ აღნიშნული კანონის №109-უ.ს.გ.ს. ამოქმედების ვადაც განისაზღვრა 2020 წლის 1 სექტემბრიდან, ნაცვლად 2020 წლის 1 ივნისისა.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით. გასული თვეების განმავლობაში, მმართველ პარტიასა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 29 ივნისს მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც უფრო მეტად პროპორციულ საარჩევნო სისტემას ითვალისწინებს.

აღნიშნული რეფორმის პარალელურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარიმართა პროცესი, რომელიც უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო სისტემის ცვლილებას ისახავდა მიზნად. განხორციელებული რეფორმის ფარგლებში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ 2020 წლის არჩევნების შემდგომ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო 2020 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების უფრო მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარების თაობაზე, სადაც უმაღლესი საბჭოს 21 მანდატიდან 85%-ზე მეტი (18 მანდატი) პროპორციული, ხოლო 15%-ზე ნაკლები (3 მანდატი) მაჟორიტარული წესით იქნება განაწილებული.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებები განპირობებული იყო კანონის ნორმების მაქსიმალურად დახვეწის, მასში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრისა და საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობასთან მისი სრულად ჰარმონიზაციის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ერთგვარი გაგრძელება იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 2 ივლისს განხორციელებული ცვლილებებისა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლება მუშაობდა და რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს ეფუძნება. აღნიშნული რეკომენდაციები შეეხება საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას ისეთი ძირითადი მიმართულებებით, როგორიცაა:

საარჩევნო ადმინისტრაცია;

მედია-კამპანია და საეთერო დრო;

წინასაარჩევნო გარემო;

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია; საარჩევნო დავების განხილვა;

არჩევნების მეორე ტური.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, მოწესრიგდეს გენდერულ კვოტებთან და თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ამ მიზნით, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების (მათ შორის, მათ მიერ მოწვეული ექსპერტების) მონაწილეობით შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი და გაიმართა მოლაპარაკებების არაერთი რაუნდი, რა დროსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ზემოაღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე თითქმის ყველა პრინციპულ საკითხზე.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც ახლებურად არეგულირებს უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნების ჩატარების წესს, ასევე როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოს პარლამენტის მიერ საარჩევნო კოდექსში განხორციელებულია მთელი რიგი ცვლილებები, რის გამოც, აუცილებელია მათში ასახული დებულებების შესაბამისად განხორციელდეს საარჩევნო კანონის ცვლილება, რათა, შემდეგ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი იქნეს ჰარმონიზებული, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსთან.

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს ორგანული კანონით დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 5 ივლისს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კონსტიტუციური კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგი არჩევნებიდან უმაღლესი საბჭოს 21-ვე წევრი აირჩევა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო უმაღლესი საბჭოს პროპორციული საარჩევნო სისტემით გასამართი არჩევნებისათვის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების არსებობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტები, რომლებზეც წამყვანი (სავალდებულო) იყო კომიტეტი

1. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ.

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს შრომის კოდექსში ისეთი ცვლილების განხორციელება, რომელიც დაავალდებულებს დამსაქმებელს დასაქმებულთა ცვლიანობის განრიგი გაანაწილოს იმგვარად, რომ გაითვალისწინოს თითოეული დასაქმებულისთვის დასვენების ადექვატური დრო.

კანონპროექტის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღე-ღამის განმავლობაში 3 საათს, ხოლო კვირის განმავლობაში 8 საათს. სპეციფიკური რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღე-ღამის განმავლობაში 2 საათს, ხოლო კვირის განმავლობაში 6 საათს.

2. საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტი ითვალისწინებდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისათვის დადგენილი დათქმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო და ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს წარმომადგენელი შესაძლებელია იყოს საჯარო მოსამსახურე, ასევე, შესაძლებელია ლიკვიდაციის პროცესში აქტივების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების საწარმოს ანგარიშზე განთავსება და აღნიშნული თანხების ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარავად გამოყენება, გავრცელდებოდა ავტონომიური რესპუბლიკების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ლიკვიდაციის წესის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრას.

3. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის შემდგომ არჩევნებში არჩეული უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით პროპორციული სისტემით არჩეული 21 დეპუტატისაგან.

ამავე კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში არჩეული უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით პროპორციული სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 3 დეპუტატისაგან. უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ზემოაღნიშნული კანონპროექტების გარდა, კომიტეტმა წერილობითი მოსაზრებები გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, საქართველოს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტზე „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილი კანონპროექტით „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონს ემატებოდა ახალი 26^1 მუხლი (შავი წერტილების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა), რომელშიც მოცემული იყო „შავი წერტილის“ განმარტება, ასევე შავი წერტილის იდენტიფიცირებასა და მის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით სახელმწიფო და მუნიციპალური უწყებების მოვალეობები და შავი წერტილების აღმოფხვრისათვის წესების შემუშავებისა და ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებები.

იმის გათვალისწინებით, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა - ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა, აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი იქნა წინადადება, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან ერთად გათვალისწინებული ყოფილიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც.

ზემოაღნიშნული წინადადება გაზიარებული იქნა კანონპროექტის ინიციატორის მიერ, რომელიც ასახულია „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 26^1 მუხლში.

საკადრო საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 142-ე მუხლის შესაბამისად, განახორციელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარმოდგენილი 8 კანდიდატურის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა და მათი კომიტეტის სხდომაზე მოსმენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატურების ფარული კენჭისყრით არჩევის მიზნით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 82-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დადგენილი იქნა კენჭისყრის ადგილი, ბიულეტენის ფორმა და განისაზღვრა მისი შევსების წესი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ გამოყენება 2019 წლის საშემოდგომო და 2020 წლის საგაზაფხულო სესიებზე

2019 წლის საშემოდგომო სესია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 3 თებერვლის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განიხილა 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ საკუთარი წევრების უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში ჩანაცვლების საკითხი.

როგორც ცნობილია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ კომიტეტის წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კომიტეტის მუშაობაში ან უმაღლესი საბჭოს წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს, აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს. ეს უფლება ფრაქციის თითოეული წევრის მიმართ კომიტეტის სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი სესიის განმავლობაში არაუმეტეს სამჯერ. კომიტეტის წევრს, რომლის უფლებამონაცვლეც ესწრება კომიტეტის სხდომას, შესაბამისი კომიტეტის სხდომა გაცდენილად არ ეთვლება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებიდან გამოთხოვილი წერილობითი ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ უმაღლესი საბჭოს 2019 წლის საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი წევრების მიმართ:

- ფრაქცია „ქართული ოცნება“:

● ირაკლი ჭეიშვილი ჩანაცვლებული იქნა 3-ჯერ (საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 16 სექტემბრის, 7 ნოემბრის და 17 დეკემბრის სხდომებზე);

● ვლადიმერ მგალობლიშვილი ჩანაცვლებული იქნა 2-ჯერ (ერთხელ - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე; ერთხელ - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე).

- ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები“:

● ილია ვერძაძე ჩანაცვლებული იქნა 3-ჯერ (ერთხელ - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე; 2-ჯერ - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 22 ოქტომბრის და 13 ნოემბრის სხდომებზე);

● მერაბ კარანაძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე);

● გიორგი რომანაძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე).

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

● გია აბულაძე ჩანაცვლებული იქნა 2-ჯერ (ერთხელ - საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე; ერთხელ - საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2019 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე).

უმაღლესი საბჭოს კომიტეტებიდან გამოთხოვილი ზემოაღნიშნული ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების დარღვევა არ გამოვლენილა.

2020 წლის საგაზაფხულო სესია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებიდან გამოთხოვილი წერილობითი ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლება უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი წევრების მიმართ:

- ფრაქცია „ქართული ოცნება“:

● გიორგი მანველიძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 28 მაისის სხდომაზე);

● ირაკლი ჭეიშვილი ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 27 მაისის სხდომაზე).

- ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები“:

● ვახტანგ წულაძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 10 ივნისის სხდომაზე);

● ხვიჩა შარაშიძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 27 მაისის სხდომაზე).

- ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“:

● ცოტნე ანანიძე ჩანაცვლებული იქნა 2-ჯერ (ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის 28 აპრილის და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 28 აპრილის სხდომებზე).

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

● გია აბულაძე ჩანაცვლებული იქნა ერთხელ (საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2020 წლის 28 აპრილის სხდომაზე).

უმაღლესი საბჭოს კომიტეტებიდან გამოთხოვილი ზემოაღნიშნული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების დარღვევა ფრაქციების მიერ არ გამოვლენილა.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები, რომლებიც მიწოდებული იქნა შესაბამის სუბიექტებზე.

ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2019 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 107-ე მუხლისა და უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2019 წლის 10 სექტემბრის №57 გადაწყვეტილების შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების ხელმოწერების ნამდვილობის გადამოწმების შედეგები, რომელიც ეხებოდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების (№09-01-08/79, 09.09.2019) საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლების განხორციელებას.

გადამოწმების შედეგად, წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე დადგინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 14-ვე ხელმომწერი წევრის ხელმოწერის ნამდვილობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი აგრძელებდა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ცალკეული ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სუბიექტებთან.

საანგარიშო პერიოდში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, 2020 წლის 31 აგვისტომდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს უნდა უზრუნველეყო ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა და კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

შესაბამისი სუბიექტების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებები შესრულებული იქნა დადგენილ ვადებში.

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი სამუშაო, რაც საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა კანონშემოქმედებით და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.

პატივისცემით,

ნინო ჩხეტია

კომიტეტის თავმჯდომარე